საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ პრიზმაში

კახაბერ ციმინტია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: kakhatsimintia@gmail.com

რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, რომლის დროსაც, არსებული და მოსალოდნელი მუქარების პირობებში, გარანტირებულია ეროვნული ინტერესების დაცვა, ეკონომიკის მდგრადობა და განვითარება. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას განსხვავებული მიდგომები არსებობს. ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებში გავრცელებულია ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" გამოყენება, რომელიც ფორმირებულია ბულგარეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთისა და სლოვაკეთის მაჩვენებლების გასაშუალოებით და აქცენტირებას აკეთებს ევროკავშირში ამ ქვეყნების მიღებისას მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ დონეზე.

როგორც არსებული მონაცემები გვიჩვენებენ „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ ფორმირებიდან 20 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი საქართველოს მაჩვენებლები უმეტეს შემთხვევაში ვერ პასუხობენ მას. განსაკუთრებულად ნეგატიურია საგარეო ვალის, ექსპორტით იმპორტის გადაფარვისა და ევროკავშირთან ურთიერთობის მაჩვენებლები.

დადებითი დინამიკითა და კრიტერიუმისადმი შესაბამისობით ხასიათდება: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუბარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე) ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ, საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე, საქონლის ექსპორტი მშპ-ის მიმართ.

შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, რომლის დროსაც, არსებული და მოსალოდნელი მუქარების პირობებში, გარანტირებულია ეროვნული ინტერესების დაცვა, ეკონომიკის მდგრადობა და განვითარება. იგი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილია და პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საერთო კონტექსტში ხორციელდება და ეროვნული ინტერესების მიზნების რეალიზაციას ემსახურება. მას რთული სტრუქტურა გააჩნია და გულისხმობს ეკონომიკის განვითარების, გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის საზოგადოებრივი თანხმობის მაღალ დონეს და მისი მიღწევა თვით ეკონომიკურად განვითარებულ და სოციალურად სტაბილურ ქვეყნებშიაც კი, სადაც ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ეფექტური პოლიტიკური სისტემებია, მაინც შეფარდებითია, რადგანაც ცალკეული სახის საფრთხეები და გარე ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების ალბათობა ასეთ ქვეყნებშიაც კი შენარჩუნებულია.

მდგრადობა და უსაფრთხოება ნებისმიერი სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია. სისტემის მდგრადობა ასახავს მისი ელემენტების სიმყარესა და საიმედოობას, შიგა და გარე საფრთხეების პრევენციის, მათი ზეგავლენით დარღვეული წონასწორობის აღდგენის უნარს. როგორც წესი (რომის კლუბის მოხსენება, გაეროს ანგარიში), მდგრადი განვითარების ქვეშ იგულისხმება დინამიკური ეკონომიკური ზრდა, სოციალური პროგრესი

და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ანუ ისეთი განვითარება, რომლის დროსაც თანამედროვეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება იმგვარად, რომ არ იზღუდება მომავალი თაობების მოთხოვნილებები [მაგ. 1, 6-7]. უსაფრთხოება კი გულისხმობს სისტემის დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობას შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიაც კი.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ნათელ გამოხატულებას პოულობს სტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებში. კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შემდეგი ძირითადი პრინციპების რეალიზებას ემყარება: განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინებას; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრას; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ეროვნულ უსაფრთხოებასთან თავსებადობას; საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობას. [2, გვ. 38)

ყველაზე ფართო მიდგომით ეკონომიკური უსაფრთხოება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან შედგება: ადამიანის უსაფრთხოება; მაკროეკონომიკური უსაფრთხოება; მეზოეკონომიკური უსაფრთხოება; მიკროეკონომიკური უსაფრთხოება; მეგაეკონომიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები წარმოადგენენ ნორმატიული ხასიათის მაჩვენებლებს, რომლებიც რაოდენობრივ ფორმაში ასახავენ ეკონომიკური უსაფრთხოების პარამეტრებს. ამასთან, მათ გააჩნიათ ურთიერთკავშირის მაღალი ხარისხი და ერთიანობაში (ვიდრე ცალ-ცალკე) ასრულებენ ინდიკატორის ფუნქციას.

ეკონომიკური უსაფრთოების ინდიკატორების კონკრეტული მნიშვნელობები წარმოადგენენ სიგნალს ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების მიმართულებაზე. იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური მიმართულებით ხორციელდება ეკონომიკური განვითარება, რამდენად ეფექტურია მთავრობის მიერ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრას. ინდიკატორების ზღვრული სიდიდეებისთვის კონკრეტული მნიშვნელობების მინიჭება კი ერთ-ერთი რთული და შრომატევადი ეტაპია ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას განსხვავებული მიდგომები არსებობს. ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებში გავრცელებულია ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" გამოყენება, რომელიც ფორმირებულია ბულგარეთის, ლატვიის, ლიეტუვას, რუმინეთისა და სლოვაკეთის მაჩვენებლების გასაშუალოებით და აქცენტირებას აკეთებს ევროკავშირში ამ ქვეყნების მიღებისას მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ დონეზე. ჩვენს ნაშრომში საქართველოს განვითარების მაჩვენებლების „კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან" შესაბამისობაა დახასიათებული. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი კრიტერიუმები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, უკვე მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებენ ევროპის კავშირის სივრცესთან თავსებადობის დონეს.

ამგვარად, როგორც არსებული მონაცემები გვიჩვენებენ „კოპენჰაგენის კრიტერიუმების" ფორმირებიდან 20 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი საქართველოს მაჩვენებლები უმეტეს შემთხვევაში ვერ პასუხობენ მას. განსაკუთრებულად ნეგატიურია საგარეო ვალის, ექსპორტით იმპორტის გადაფარვისა და ევროკავშირთან ურთიერთობის მაჩვენებლები. კერძოდ, მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალის წილი მშპ-სთან მიმართებაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა კრიტერიუმის მაჩვენებელს (36%) და 2018 წლისთვის 110 % შეადგინა. აღსანიშნავია რომ 2018 წლისთვის საგარეო ვალის სტრუქტურა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სამთავრობო სექტორი 33%, ეროვნული ბანკი - 2%, ბანკები -26%, პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი სესხები -15% [3, გვ.7]. ამასთან, საანალიზო პერიოდში იზრდებოდა სამთავრობო სექტორისა და ბანკების წილი, ხოლო მცირდებოდა ეროვნული ბანკისა და კომპანიათაშორის სესხების. რაც შეეხება ნომინალურ

საქართველოს მაჩვენებლების შესაბამისობა „კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან“ [1]

#	მაჩვენებლები	ზღვრული მნიშვნელობა	საქართველო				
			2002	2005	2010	2015	2018
1	მშპ-ის საშუალო-წლიური მატება (ბოლო ოთხი წლის საშუალო) (%)	3,1	3,7	8,0	4,9	4,3	3,8
2	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუბარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (§)	6000	3000	4200	6567	9630	11600
3	ინვესტიციების წილი მშპ-ში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ნომინალურ მშპ-ში) (%)	22,82	5,1	5,1	7,2	11,9	7,5
4	უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე) (§)	100	40	116	222	447	330
5	საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%)	32	15,2	15,8	23,5	23,7	25,6
6	ბიუჯეტის დეფიციტი (%)	3,3	3,0	2,6	6,7	3,7	2,9
7	საგარეო ვალის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში (%)	36	-	-	88	109	110
8	უმუშევრობის დონე (%)	10,9	12,6	13,8	16,3	14,1	12,7
9	საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%)	100	90,5	213	445	554	642
10	მრეწველობის წილი მშპ-ში (%)	27	-	-	-	-	24,8
11	საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე (§)	580	87	221	441	592	899
12	საქონლის ექსპორტი მშპ-ის მიმართ (%)	16,2	8,3	12,7	14,0	15,8	20,7
13	ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%)	74,6	43,5	34,8	32,0	32,2	36,7
14	ევროკავშირთან საქონლის ვაჭრობის წილი საერთო ვაჭრობის მოცულობაში (ევროკავშირზე დამოკი-დებულება) (%)	43,6	-	-	11	14	14

მშპ-ში მთავრობის საგარეო ვალის წილს, იგი 2005 წელს არსებული 23,2%-დან 2018 წლისთვის 34,3%-მდე გაიზარდა [4]. ეკონომიკური უსაფრთხ-ოების სასურველ დონეს ასევე ვერ პასუხობს მშპ-ში საქართველოს სახელმწიფო ვალის წ-ილის მაჩვენებელი, რომელმაც 2018 წლისთვის 43,3% შეადგინა [საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო [5].

ასევე ნეგატიურია ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელიც. იგი კრიტერიუმს (74,6%) თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება (36,7%) [6].

რაც შეეხება ევროკავშირთან საქონლის ვაჭრობის წილს საერთო ვაჭრობის მოცუ-ლობაში, საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროს მიერ გათვლილია ევროკავშირზე დამოკ-იდებულების მაჩვენებლი, რომელიც ექსპორტს,

[1] „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიხედვით მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუბარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით შეადგენს 4900 ევროს. უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე 83 ევროს. საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე 476 ევროს. რადგანაც აღნიშნული მაჩვენებლების გათვლებისთვის საჭირო ინფორმაცია ოფიციალურ სტატისტიკაში მოცემულია დოლარებში, ჩვენს მიერ აღნიშნული კრიტერიუმები მიახლოებით იქნა გადაყვანილი დოლარებში
„კოპენჰაგენის კრიტერიუმის“ კიდევ ორი მაჩვენებელი მრეწველობაში ინვესტიციების წილი საერთო ინვესტიციებში და სამრეწველო საქონლის წარმოების მატების ტემპი ჩვენს მიერ ვერ იქნა გათვლილი.

ფულად გზავნილებსა და ტურიზმს მოიცავს, 2018 წლისთვის იგი 14%-ს შეადგენს [3, გვ.15].

ნეგატიური ტენდენციით ხასიათდება და ვერ პასუხობს კრიტერიუმს (22,82%) ინვესტიციების წილი მშპ-ში (ჩვენს მიერ გათვლილია ნომინალურ მშპ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი) და იგი 2018 წლისთვის 7,6% -ის დონეზე ფიქსირდება [5].

მიუხედავად დადებითი დინამიკისა ჯერ კიდევ არ პასუხობს კრიტერიუმის მოთხოვნებს (32%) საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში, რომელიც 2018 წლისათვის 25,6 %-ს შეადგენს [7].

დადებითი დინამიკითა და კრიტერიუმისადმი შესაბამისობით ხასიათდება: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუბარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე) ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%) საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე (§), საქონლის ექსპორტი მშპ-ის მიმართ (%).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაიშვილი დ. მდგრადი განვითარება. ნ. I (ისტორიული ექსკურსი). თბ., 2014.
2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. (2003) სერპსკი-ს შრომების კრებული, VII ტ.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. აპრილი, 2019.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. https://mof.ge/images/File/sagvalebi/External-Debt-12-2018.pdf
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. https://mof.ge/5115

Georgia's Economic Security Indicators in the Prism of the „Copenhagen Criteria"

Kakhaber Tsimintia
Associate Professor of
Sokhumi State University

Summary

Economic security implies a state of economic system in which,the conditions of present and expected threats, the protection of national interests, the sustainability and development of the economy are guaranteed. There are different approaches to establishing the threshold values of economic security indicators. "Copenhagen Criteria" is commonly used in evolutionary economies, which is formed by averaging the indicators of Bulgaria, Latvia, Lithuania, Romania and Slovakia and focuses on the level of socio-economic development of these countries in the accession process to the EU.

Existing data shows that after more than 20 years of the formation of the "Copenhagen Criteria", Georgia's indicators in most cases still fail to meet it. Indicators of external debt, export repayment and relations with the European Union are particularly negative.

Positive dynamics and compliance with the criteria are: Given the purchasing power parity of GDP per capita, foreign investment per capita (FDI per capita), budget deficit, average monthly nominal salary for the living wage of a working man, export of goods per capita, export of goods to GDP.